საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

ასაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№113 (6339) 20 სექტემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის სარედაქციო კომისიის წევრები, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მდივნები, ზოგიერთი სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკა;

საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა;

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კამპანიასა და დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიის ფორმირებაში საქართველოს კომპარტიის მონაწილეობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის მუშაობა.

დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვაჟა გურგენიძემ.

მესამე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბონდო ჯიქიამ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ანტონ ინგოროყვა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნუგზარ ნადარაია, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი თემურ მოსიაშვილი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ავთანდილ საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ბეჟან გონაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ყიული შარტავა, რესპუბლიკის სტატისტიკომის თავმჯდომარე რევაზ ბასარია, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი თემურ ოსეფაშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ვარლამ კეშელავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ემზარ ბერიძე, რესპუბლიკის სახმომარაგების თავმჯდომარე ვილენ ალავიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე სერგო რიგვავა, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საქართველოს“ პარტკომის მდივანი მიხეილ ბახტაძე.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი **გუმბარიძე**.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

როგორ ვემზადებით რთველისათვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი მუშა კაცის ზეიმიაო, და ეს მართლაც ასეა, ლეჩხუმელი მეზვრე მუდამ ამაღლებული განწყობით ხვდებოდა და ხვდება რთველს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ნაჩქარევად მიღებამ, ჩვენთანაც შეამცირა ზვრების ფართობი, მაგრამ ვინც ნამდვილი მუშა კაცია, ვისაც მამა-პაპიდან მოსდგამს ვაზის სიყვარული, მისთვის არაფერი შეცვლილა.

ახლა კი ყურძნის ფასების საგრძნობი გაზრდა გარკვეულწილად დააინტერესებს მეზვრეებს და განახლების ფართო პერსპექტივებს სახავს ჩვენთან მეღვინეობა-მევენახეობის განვითარება-აღორძინების გზაზე.

ოჯალეში ორბელის მიკრორეგიონში გავრცელებული ყურძნის ჯიშია, რომელსაც აქაური მოსახლეობა მაღალ ფასებში თერჯოლის საკონსერვო კომბინატს აბარებდა. ეს ბევრ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ახლა კი დასმულია საკითხი ზემდგომ ორგანოებში, რომ ჩვენვე ავანაზღაუროთ გადიდებული ფასი და მოსახლეობამ სხვაგან კი არ წაიღოს, ადგილზე, ორბელის ღვინის საწარმოს ჩააბაროს მის მიერ მოწეული ყურძენი.

გარდა ამისა, კიდევ ბევრი სიახლით ხვდება საწარმო მოახლოებულ სეზონს, რასაც დაახლოებით ერთი თვე გვაშორებს. აქამდე საწარმოს ელექტროენერგიით კვება ორბელეთესიდან ხდებოდა, დაძველებული ხაზები ბევრ სიძნელეებს ქმნიდა ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში. ახლა კი დავიწყეთ ახალი ხაზების გაყვანა, რომელიც ჩაირთო საწარმოს მახლობლად გამავალი მაღალი ძაბვის დენზე და ამიერიდან ელექტროენერგიით საწარმოს უწყვეტელყოფის საქმეში შეფერხებას ადგილი აღარ ექნება.

გარდა ამისა, მიმდინარე რემონტი უკვე ჩაუტარდა საწარმოს მიმდებ განყოფილებაში არსებულ ბუნკერებს, გარემონტებულია და მზადყოფნაშია ყურძნის წითელი ჯიშების სადღეღარი კოდები, ამასთან თვით შენობა გადახურული, დაცული და მოყვანილია წესრიგში.

ასე რომ, საწარმომ გეგმით უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 1500 ტონა ყურძენი, თუკი მოსავალი იქნება, შესაძლებლობა კიდევ მეტისა გვაქვს.

შ. ჩაჩხიანი,
ორბელის ღვინის საწარმოს უფროსი მეღვინე.

ჩვენი ღლეების ადამიანები

მისი მთავარი მიზანი

არიან ადამიანები, რომლებიც წყნარად, უხმაუროდ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე შესდგომიან ცხოვრების სიძნელეებს და არავისგან ქება-დიდებას არ ითხოვენ. საქმის ერთგულებით, თანასოფლელებთან დამოკიდებულებით მოიპოვა სახელი და ავტორიტეტი საირმელმა ქალმა მაყვალა ხუციძემ. კარგი ოჯახის დიასახლისს, დედასა და მეუღლეს კარგად აქვს შეგნებული საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ხსნის გზას მშრომელი ქალი ერთმანეთისადმი პატივისცემაში, მიმტევებლობასა და ერთგულებაში ხედავს.

სწორედ მისი კარგი ქალობის შედეგია, რომ საუკეთესოდ მოწყობილ კარ-მიდამოში თვალშისაცემი სიუხვე და ბარაქა იგრძნობა, როგორც საკუთარს, ისე უვლიდა და უვლის კოლმეურნეობიდან ჯერჯერობით იჯარით აღებულ 0,2 ჰექტარ სასიმინდეს და 0,06 ჰექტარ ზვარს. ჯერჯერობით იჯარით აღებულიო—ვამბობთ, რადგან ალპანის კოლმეურნეობა უკვე მზადაა გლეხურ მეურნეობაზე გადასასვლელად და იჯარით კუთვნილი მიწის ფართობი სრულ საკუთრებაში გადაეცემა მშრომელ ქალს.

პირუტყვისა და ფრინველის სიმრავლეა მაყვალა ხუციძის კარ-მიდამოში. იგი მზადაა საკარმიდამო მეურნეობაში გამოზრდილი—250 კილოგრამზე მეტი წონის ფური სახელმწიფოს ჩააბაროს.

გაჭიანურება დანაშაულია

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ცხოვრებაში ახალი ცნებები შემოვიდა: გლეხური მეურნეობა, თავისუფალი გლეხი... შეიქმნა ახალი გაერთიანებები, გლეხთა კავშირები, ასოციაციები, პარტიებიც კი. ბუნებრივია, ეს უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობების და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლის პარალელურად, რომლებსაც ხელთ უპყრიათ მონოპოლია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. კოლმეურნეობების დაშლის გარეშე გლეხის შრომის გათავისუფლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. გვსურს ყბადაღებული სასურსათო პროგრამის შესრულება, პროდუქტების სიუხვის შექმნა? —მაშ, ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ სოფლის გამჩანაგებელ ამ ქიმერაზე. განსაკუთრებით ამას უნდა ესწრაფვოდეს ყველა მაღალმთიანი, მცირემიწიანი რეგიონი, სადაც საზოგადოებრივი მეურნეობები არარენტაბელური და ზარალიანია.

ბევრი დავის, აზრთა შეხლა-შემოხლის, მრავალჯერადი გადავადების შემდეგ, როგორც იქნა გადაწყდა ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კოლმეურნეთა საერთო კრებების ჩატარება იმის გასარკვევად, სურს თუ არა გლეხს ძველებურად შრომა. უმეტეს მეურნეობებში ასეთი კრებები უკვე ჩატარდა და ზოგ-ზოგების მტკიცების საწინააღმდეგოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება კოლექტიური მეურნეობის გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ. ამ კრებებმა საშუალება მისცა გლეხს გამოეხატა თავისი ოდინდელი სურვილი, გულში რომ იმარხავდა დღემდე. მხოლოდ ესაა, გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით ქაღალდზე რჩება. პრაქტიკული ნაბიჯები თითქმის არ გადადგმულა, თუ არ ჩავთვლით ორბელისა და ტეიშის კოლმეურნეობებს, სადაც გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაიწყეს მიწების აზომვა-განაწილება.

მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, რაც გამოიხატება მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძველთან იდენტურობაში, ამასთან დაკავშირებული ბევრი საკითხის გაურკვევლობასა და რესპუბლიკაში ამ პრობლემის არასაკმარისად დამუშავებაში, მაინც ძნელი ასახსნელია მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალურად შექმნილი რაიონული კომისიის უმოქმედობა. დრო არ ითმენს, მეურნეობის ახალ ფორმაზე გადასვლა მოუთმენლად ჭიანურდება. ამასობაში კი ნადგურდება საკოლმეურნეო ქონება, მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებიც, კიდევ უფრო ეცემა მწარმოებლობა, კვლავ იტაცებენ მიწებს. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება ჩვენი ისედაც გაჩანაგებული მეურნეობა ამგვარი უთავბოლობის კვლავ გაგრძელების შემთხვევაში. ან იქნებ ვინმეს აძლევს ხელს, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე? ამღვრეულ წყალში ხომ თევზი გაცილებით ადვილი დასაჭერია და ამგვარი იოლი თევზაობის მსურველებიც ბევრია ჩვენში. ვაი, რომ ეს უფრო ჰგავს სიმართლეს.

დრო მოჰკითხავს ყველას, ჩინიანსაც და უჩინოსაც. კეთილი, სასარგებლო საქმის დანაშაულებრივ გაჭიანურებას სიკეთე არ მოყვება.

საჭიროა, რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში, მაქსიმალურად უმტკივნეულოდ დავასრულოთ გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის პროცესი.

გაჭიანურება დანაშაულია!

ია ხმელიძე.

უფლებათა ხელშეუვალი ნაწილი

მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

დედოგის მადლი

გაერთიანების უფლება არის ადამიანებისა და მოქალაქეთა უფლებების ხელშეუვალი ნაწილი... ამ სიტყვებით იწყება პროექტი კანონისა საზოგადოებრივ - გაერთიანებათა შესახებ, რომელსაც ჩვენი საზოგადოება უკვე დიდი ხანია რაც ელოდება. საკადესის კორესპონდენტმა ა. ალადანსკიმ პროექტის განმარტება სთხოვა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელს ა. ვ. შუტკოს.

—უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებრივ გაერთიანებათა რეგულაციის საჭიროება დიდი ხანია წარმოიშვა,—თქვა მან. — და საკავშირო ორგანოებმა, როგორც სამეცნიერო განაყოფებმა, ისევე სახელმწიფო ორგანოებმა, ეს მეტად დააგვიანეს. ამან გამოიწვია ის, რომ რიგმა რესპუბლიკებმა—ლიტვამ, ესტონეთმა, საქართველომ, მოლდავეთმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა—უკანასკნელ ორ წელიწადში თავიანთი საკანონმდებლო აქტები მიიღეს.

ეს პროექტი მე უზარმაზარ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია ჩვენს კანონმდებლობაში საერთოდ და, კერძოდ, მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციაში. მთავარია, რომ ახალი კანონით საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესაქმნელად შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან არავითარი წინასწარი შეთანხმება აღარ არის საჭირო. დამფუძნებლები ატარებენ ყრილობას, კონფერენციას, ირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოებს, იღებენ წესდებას და ამის შემდეგ უკვე რეგისტრაციაში ატარებენ წესდებას. ასე იწყება ჩვენში პირველად საქმით განხორციელება ასოციაციების თავისუფლებისა, რისთვისაც იბრძოდნენ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობები, დაწყებული დეკაბრისტებიდან სოციალ-დემოკრატებამდე.

—ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია რეგისტრაციაში გატარდეს?

—არა, ყველას არ შეუძლია. მე მხედველობაში მაქვს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანონის პროექტი შემუშავებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სხვა ეროვნულ და საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

მე მგონია, რომ ჩვენთან, იმისათვის, რომ არ იყოს დეზორგანიზაცია პოლიტიკურ ცხოვრებაში, საჭიროა მნიშვნელოვნად ავამაღლოთ პარტიის შექმნის ლიმიტის თამასა.

და მეორეც—ზედმეტი არ იქნებოდა, როგორც ეს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ხდება, პირდაპირ მივუთითოთ, რომ დაუშვებელია ეგრეთ წოდებული ადგილობრივი პარტიების შექმნა. მე მხედველობაში მაქვს საქალაქო, საოლქო, ესეც ხომ ატარებს საზოგადოების დეზორგანიზაციის ელემენტს.

—განა არ შეიძლება წარმოიშვას ეგრეთ წოდებული „მცირე პარტიები?“ რა დიდი რამე სჭირდება ათასი ხელმოწერის შეგროვებას, როცა მიწერების ასეთი ნაცადი ტრადიცია გვაქვს?

—ამის არ უნდა გვეშინოდეს. ჯერ ერთი — პარტიის შემადგენლობის შესახებ პეტიციაში მითითებული უნდა იყოს ყველა წევრის მისამართი, ხელმოწერა. მეორე—თუ ადგილი ექნება თაღლითობას, მათ პასუხს მოსთხოვენ კანონით, როგორც თაღლითებს. სხვათა შორის, ეს გათვალისწინებულია პროექტშიც. მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირებს, ისე მოქალაქეებსაც.

—გარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა ჩვენთან არის კიდევ რეგისტრირებული სხვა პოლიტიკური პარტიები?

—ცალკეულ რესპუბლიკებში გვაქვს. მაგალითად, ესტონეთში უკვე სამი პარტიაა რეგისტრირებული, ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ავრეთვე ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებშიც. ლიტვაში ერთი პარტიის რეგისტრაცია თვით ცნობილ თარიღამდე —11 მარტამდეც კი მოასწრეს.

—ვინ გაუწევს კონტროლს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას?

—საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

დღეს დემოგრაფიული პრობლემა ქართველთათვის ერთ-ერთი მტკივნეული და აქტუალურია, რადგან ეროვნის სიმტკიცე და ძლიერება მრავალშვილიანი ოჯახებია.

აფერუმ შენს ქალობას უსახელოელო ვარდო ასათიანო, რვა შვილის გამზრდელო დედავ, მინდა შეგეხმიანო იმისათვის, რომ ქალ-ვაჟთა სიკასკასე და სილამაზე ელვარებას ჰმატებს არა მარტო თქვენს ოჯახს, არამედ საქართველოსაც.

ვარდო გუგავა 20 წლისაც არ იყო თანასოფლელმა გიგა ასათიანმა ერთგულება რომ შეჰფიცა. ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაში შეეჭიდნენ ცხოვრებას. სიმძიმეს დიდი სიხარული, ჩვილთა აკვნების რწევა უმსუბუქებდა. უფროს ლამარას ლედი მოჰყვა, გოგონები დაფრთიანდნენ. ის იყო ვარდომ გაიფიქრა აწი აღარაფერი მიჭირსო და ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა, ორი მცირეწლოვანი შვილის მამა ომის ქარცეცხლიან გზას გაუდგა. ქვეყნის დასაცავად წავიდა. წავიდა და ოჯახს თვალისჩინდაკარგული დაუბრუნდა.

რაკი ცოცხალი გადაურჩი მტერს, ცალი თვალის დაკარგვა რას მიქვიანო. დაყვავებით ეტყოდა მეუღლეს. მძიმე იყო ომის პერიოდი, მაგრამ წუწუნი არ დაუწყია. ყოველდღიურად მრავალდგომა ასათიანების ოჯახი—გარდნენ გულიკო, ციცინო, მურადი, მზია, თაილი, ვენედი, ერთმანეთზე უკეთესები ბრომასა და სწავლაში, რა ბედნიერად გრძნობდა თავს მრავალი შვილის დედა. რომ... მალე მეუღლე გამოეცალა. ვარდო დასტრიალებდა შვილებს, უმამობას არ აგრძნობინებდა.

ორომ თავისი გაიტანა, ქალბატონი ვარდო დღე და ღამეს ასწორებდა, რომ შვილები პატიოსანი და შრომისმოყვარენი აღზარდა. ახლა რვავე დაოჯახებულია. სოფელში მამის ფუძეზე მურადი დარჩა, ლამაზ კარმიდამოში ორსართულიანი სახლი წამოიჭიმა. ოჯახმა ლხინთან ერთად ჭირიც ნახა—ქალიშვილები გულიკო და ლედი ნაადრევად დაქვრივდნენ. მაგრამ სიმწარეს ჯერჯერობით თვრამეტი შვილიშვილი უმსუბუქებს. ზაფხულობით ბებიასთან რომ თავს შეიყრიან.

სოფელში ვარდოზე მითხრეს, მარტო ოჯახში კი არა, მურადის ყანასა და ზვარში მუშაობაშიც ეხმარებაო.

—დღეს რომ პირობები აქვთ ქალებს, ამის ნახევარი რომ მქონდა, თხუთმეტ შვილს გავზრდიდიო.

დაე სიხარული, სიმრავლე და ბედნიერება არ მოეშალოს კეთილშობილ, ფუძემაგარ, მრავალშვილიან ქალ-ვაჟთა ოჯახს.

ბ. ბაძრაძე.

ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე უნდა მივხედოთ!

„ლაძგვერიამ“ დამსვენებელი მიიღო

ჩვენი ლაშაზი, მთიანი კუთხე წყალტუბოს მხრიდან შემოსასვლელში. სტუმარს ლაძგვერიაში, ქვაში კვეთილი წყაროთი ხიბლავს. არ შეიძლება მგზავრმა, რა სახის ტრანსპორტითაც უნდა მგზავრობდეს, არ შეისვენოს და მიწიდან მოქუხარ ცივ წყალს არ დაეწაფოს.

ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ ამ წყაროდან ერთ კილომეტრამდე ზემოთ, მაღლობზე მიწიდან სამკურნალო წყალი ამოჩქეფს. დიდი ხანია ამ წყალის სასწაულმოქმედებაზე იცოდნენ ლეჩხუმში და გადასახლეული სოფლიდან აქაურობას შემორჩენილი ერთადერთი ოჯახის წყალობით, ვისაც როგორ შეეძლო მოდიოდა, ღამეს ამ ოჯახში ათევდნენ, წყალს შუა ცეცხლზე ათბობდნენ და აბაზანებს ისე იღებდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილები ბრუნდებოდნენ უკან.

ვინ იცის, რამდენს ჰქონდა ამ წყლით სარგებლობის სურვილი, მაგრამ იქ შექმნილი პირობები უკან ახევინებდა.

და აი, — უკვე მესამე წელია, რაც აქაურობას პატრონი გაუჩნდა, ირგვლივ ლამაზი ტყით გარშემორტყმულ მომხიბლავ ფერდობზე კოტეჯების მშენებლობა დაიწყეს. ამას კაპიტალური სასადილოს და საბაზანოს მშენებლობა მოჰყვა, კეთილმოეწყო მისასვლელი გზა და პირველი აგვისტოდან კურორტმა „ლაძგვერიამ“ დამსვენებელი მიიღო.

ჩვენ კი აქაურობას სეზონის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ ვესტუმრეთ. კურორტზე ჯერჯერობით სულ 50 კაცს შეუძლია დაისვენოს.

შევხვდით და ვესაუბრეთ დამსვენებლებს;

ნათელა უჩაძე (ქუთაისიდან): სახსრების ტკივილი, გულის მოდუნება მაწუხებს, უკვე მესამე დღეა, რაც მოსული ვარ, სამი აბაზანა მივიღე და დღეს უკვე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

ნაზი სილაგაძე (ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი)— რევმატიული დაავადება მაწუხებს, მე-6 დღეა რაც აქა ვარ და საგრძნობლად გაუმჯობესებულ მდგომარეობას ვგრძნობ.

თამარ ჭაბუკიანი (გორიდან): ნერვოზითა ვარ დაავადებული, აუტანელი ტკივილები მაწუხებს წელის არეში, მაღალი წნევით ჩამოვედი, მე-8 დღეა, აქა ვარ და წნევა უკვე ნორმალური მაქვს, ტკივილებმაც საგრძნობლად მიკლო.

საქმიანი ფუსფუსია კურორტის კლინიკურ-დიაგნოსტიკურ კაბინეტში, კურორტოლოგიის ინსტიტუტის ექიმს ირინა ჭაბაშვილს, ბიოქიმიკოს ლამარა წიკლაურს და უფროს ლაბორანტს ეთერ სამხარაძეს ავადმყოფების მიღება აქვთ. როგორც გვითხრეს, მას შემდეგ, რაც აქაურობა კოოპერატივი „ლაძგვერია“ დაეპატრონა და კურორტის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა, პარალელურად კურორტოლოგიის ინსტიტუტი წყლის ლაბორატორიულ ანალიზს ატარებდა. ამ ხნის მანძილზე უკვე გამოკვლეულია წყლის შემადგენლობა, მისი სამკურნალო თვისება კუჭ-ნაწლავზე და ამ მხრივ ძალიან კარგი შედეგია მიღებული,—წყალი კარგად მოქმედებს კუჭის დაავადების, კოლიტის, შაქრიანი დიაბეტის დროს. ახლა კი თითქმის ერთი თვეა, რაც ადგილზე ვახდენთ დაკვირვებას სახსრების რევმატიული დაავადების, ართროზების დროს წყლის ზემოქმედებაზე. სად არ ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი მრავალმხრივი ზემოქმედების, ძლიერი წყალი არ შეგვხვედრია, რომ იყოს რექტალური შხაპების ბაზა. კოოპერატივი „ლაძგვერია“ დაეპატრონა და კურორტის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა, პარალელურად კურორტოლოგიის ინსტიტუტი წყლის ლაბორატორიულ ანალიზს ატარებდა. ამ ხნის მანძილზე უკვე გამოკვლეულია წყლის შემადგენლობა, მისი სამკურნალო თვისება კუჭ-ნაწლავზე და ამ მხრივ ძალიან კარგი შედეგია მიღებული,—წყალი კარგად მოქმედებს კუჭის დაავადების, კოლიტის, შაქრიანი დიაბეტის დროს. ახლა კი თითქმის ერთი თვეა, რაც ადგილზე ვახდენთ დაკვირვებას სახსრების რევმატიული დაავადების, ართროზების დროს წყლის ზემოქმედებაზე. სად არ ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი მრავალმხრივი ზემოქმედების, ძლიერი წყალი არ შეგვხვედრია, რომ იყოს რექტალური შხაპების პირობები, წყალი საუკეთესოა გინეკოლოგიური დაავადებების დროსაცა.

კურორტოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე რობაქიძე პერიოდულად ჩამოდის, ახდენს დაკვირვებას ავადმყოფებზე და ატარებს კონსულტაციებს. აქ ადგილზე ახდენენ ღვიძლის ფუნქციის განსაზღვრას. ბიოქიმიკოსი ლამარა წიკლაური შაქრის განმსაზღვრელი აპარატული ბაზების მოწყობა და კვების ბლოკის გაფართოება. ჯერჯერობით აქ ხის სამი კოტეჯია.

ახლა, რაც შეეხება კურორტის სამეურნეო მხარეს. დამსვენებლები კმაყოფილნი არიან კვებითა და დასვენებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი პირობებით. ყველა სახის პროდუქტებს ბაზარზე ყიდულობენ, მაგრამ მომავალში განზრახული აქვთ საკუთარი ძალებით ნაწარმოები პროდუქტებით მოამარაგონ კურორტი. კოოპერატივი უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა და ჯერჯერობით მათ განკარგულებაში 8 ჰექტარი სახნავ-სათესია, სადაც დათესილი აქვთ სიმინდი, ჰყავთ მეურნეობისაგან იჯარით აღებული მეღორეობის ფერმა. ფერმაში 300 სული დიდ-პატარა ღორია. სამეურნეო საქმიანობის გაფართოებით, მიწის რაციონალური გამოყენებით, მომსახურე პერსონალის დასაქმებით ცდილობენ გააფართოონ სამეურნეო საქმიანობა. ასე, რომ საქმე და საკეთებელი ჯერ კიდევ წინა აქვთ კოოპერატივის წევრებს, მაგრამ რაც გაკეთდა დასაწყისში კარგია და ჩანაფიქრის განხორციელებას, კურორტის გაზრდა-გაფართოებას აღარაფერი დაუდგება წინ.

გ. ჩარკვიანი,

ჯ. მანდარია.

მოდის ახალი სასწავლო წელი

სიახლე სწავლებაში

ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო, არის და მომავალშიდაც იქნება მუშათა კლასი, მათი პროფესიული მომზადების მაღალი დონე.

ჩვენი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით სისტემატურად ვკითხულობთ და ვისმენთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში თუ რა ინტერესით ეკიდებიან ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეს. გული გვწყდება, რომ ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მნიშვნელობაზე, სპეციალისტთა მომზადების სისტემის სრულყოფაზე, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდება. პირიქით, ბოლო წლებში გარდაქმნის ნაცვლად განუკითხაობა და უპასუხისმგებლობაა როგორც მოსწავლეთა, ისე მშობელთა და მასწავლებელთა მხრიდან.

დღეს თეორიულად ყველამ იცის, რომ მაღალკვალიფიციური მუშა ქმნის მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთ მუშებს უნდა ამზადებდნენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, მაგრამ თუ კავშირის მასშტაბით ჩვენ ვერცერთ სფეროში ვერ ვამზადებთ მაღალი ხარისხის პროდუქციას, ეს პირდაპირ მიუთითებს პროფესიულ-ტექნიკური სისტემის სასწავლებლების სუსტ მუშაობაზე, ახალგაზრდობის პროფესიულ დახელოვნებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

ყველა მშობელს, სასწავლებელს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელს სურს ყავდეს მაღალი კვალიფიკაციის შვილები, მოსწავლეები, მუშები, მოსამსახურეები, მაგრამ არცერთი მხარე არ ანგარიშობს თუ რა გააკეთა, ან რას აკეთებს ამ მიმართულებით. პასუხისმგებელი მუშაკები ტრიბუნიდან თუ პრესიდან გულამოსკვნილი გოდებენ, რომ გვქონდა შეცდომები ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების საქმეში და რომ საჭიროა მათი გამოსწორებაო, მაგრამ პირიქით ხდება, არამც თუ სწორდება რაიმე, არამედ კიდევ მეტი არევ-დარევა, უპასუხისმგებლობა და ანარქია გამეფთა ამ სისტემაში.

ჩემი ხუთი წლის მუშაობის გამოცდილებით ვრწმუნდები, რომ პროფტექნიკურ სისტემაში აუცილებელია რადიკალური გარდაქმნები.

ცაგერის №91 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც 14 წელია ფუნქციონირებს, ძირითადი მიზნის—მაღალხარისხოვანი, პროფესიული კადრის მომზადების საქმეში, აწყდება წარმოუდგენლად დიდ სირთულეებს, რომელთა ნაწილი ასეთია:

სასწავლებელში თავს იყრის მოსწავლეთა 80-90 პროცენტი იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც არ შეუძლიათ სასწავლო პროგრამების სრულად ათვისება. ისმება კითხვა—რატომ ვღებულობთ სასწავლებელში ასეთ ახალგაზრდობას? ასეთებს გვიგზავნის რაიონის სკოლები. ჩვენ კი მიღების გეგმა გვაქვს და მეტი გამოსავალი ამ ეტაპზე არ არის.

მოსწავლეთა ცოდნის დონე რომ დაბალია, ბუნებრივია, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესიც დაბალია, ხოლო უხეშობისა და მოსწავლისათვის შეუფერებელი საქციელის გამოვლინებანი ხშირია, რადგან ჩვენთან გზავნიან ძნელადაღსაზრდელ და წესრიგის დამრღვევ ახალგაზრდებს, რაც გვიძნელებს მუშაობას.

მოსწავლეთა ასეთ კონტიგენტს წარმოშობს ახალგაზრდებისადმი მშობელთა ზედამხედველობის დაბალი დონე. ბევრი ისეთი მშობელი გვყავს, რომელიც არც ერთხელ არ დაინტერესებულა მოსულიყო სასწავლებელში და გაეგო თავისი შვილების ამბავი. მშობელთა ასეთი დამოკიდებულება თავიანთი შვილებისადმი ჩვენს სასწავლებელში არ შექმნილა, იგი მომდინარეობს რაიონის სკოლებიდან, რომლებმაც არსებითად უნდა გარდაქმნან მშობლებთან მუშაობა.

სასწავლებლის დირექცია ადრიდანვე შეუდგა ახალი 1990-1991 სასწავლო წლისათვის მზადებას. სასწავლებლის შენობა-ნაგებობებს ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი. შემოვზიდეთ საჭირო რაოდენობის სათბობი მასალა. უკვე მივიღეთ 21.000 მანეთის საჭირო საქონელი და ინვენტარ-მოწყობილობა. სასწავლებელი ძირითადად დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრით.

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სპეციალისტ-აღმზრდელები იძლევიან იმის პირობას, რომ სახალხო მეურნეობას მოვუმზადოთ კვალიფიციური მუშახელი. იმის გამო, რომ საერთოდ გატეხილი აქვს ავტორიტეტი ასეთი ტიპის სასწავლებლებს, ჩვენს სასწავლებელში შემომსვლელთა მსურველი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ სასწავლო წლის გვიან დაწყებამ შეიძლება ჩვენს სასწავლებელს სარგებლობა მოუტანოს.

მომდინარე წელს ვეცდებით განვახორციელოთ მრავალი სიახლე, რომელთაგან ერთ-ერთია 9 კლასდამთავრებულთათვის, ნაცვლად სამწლიანი სწავლებისა ორწლიანი სწავლება. მოსწავლეები და მათი მშობლები, რომლებიც მოისურვებენ დაეუფლონ მარტო პროფესიას, ისინი არ ისწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს და არ მიეცემათ საშუალო განათლების ატესტატი. იქნება აგრეთვე 9-კლას დამთავრებულთათვის სამწლიანი სწავლება, სადაც კურსდამთავრებული მიიღებს საშუალო განათლების ატესტატს და დიპლომს სპეციალობის მიხედვით.

თუ მოსწავლეები და მშობლები ამ სიახლეს ღრმად ჩასწვდებიან, ვფიქროშთ მათ სასარგებლოდ ბევრი რამ გაკეთდება. ახალი სასწავლო წლიდან განზრახული გვაქვს გავხსნათ მდივან-მემანქანეთა, მქსოველთა და სხვა კურსები.

სასწავლებლის დირექციას უფლება აქვს გახსნას ყველა სახის სპეციალობის კურსები, თუ კი მსურველი 15 კაცი მაინც იქნება.

სასწავლებელში ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 9-კლას დამთავრებულთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე; მშენებლობის ოსტატი; მკერავები.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის გვექნება ორი დარგი: ავტომანქანის შემკეთებელი, ზეინკალ-ავტომანქანის მძღოლი, ცხოველების ვეტდამუშავების ოპერატორი და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტები.

სასწავლებლის დირექცია თხოვს რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას, მშობლებს კარგად გაეცნონ სასწავლებლის ყოფისა და ცხოვრების შინაარსს და ისარგებლონ ამ სასწავლებლის სიკეთით.

ჯ. მიქაძე,
ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

დემოგრაფია და ცაგერის რაიონი

საქართველოს სიმტკიცის და ერთიანობის საფუძველი ნამდვილი ქართული ოჯახი იყო ყოველთვის, ერის სიძლიერე—მრავალი შვილი. ოჯახის შექმნის აუცილებლობა თაობიდან თაობაში მტკიცე, დაუწერელ კანონად გადადიოდა. ახლა კი ერთბაშად გამყინვარებამ იჩინა თავი. ერთ დროს შვიდმილიონიანი ერი სამ მილიონამდე დავედით. მოგვეძალენ შინაბერები და ბერბიჭები. სულ ახლახან გაზეთი „7 დღე“ წერდა: საქართველოში 85 ათასი გაუთხოვარი ქალია, 85 ათას ქალს პოტენციურად შეუძლია გახდეს დედა“. აი, ასეთი არასახარბიელო დემოგრაფიული პრობლემის წინაშე ვდგავართ. რაღა მთელს საქართველოს გადავწვდეთ, თვალწინ საშინელი მაგალითი გვიდგას ჩვენი რაიონის სახით. რაიონის დემოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებულმა სტატისტიკის განყოფილებაში მასალები მოვიძიე. ის, რასაც ქვემოთ იხილავს ჩვენი მკითხველი, ალბათ, უზომო გაოცებას და სინანულს გამოიწვევს. ვარჩევ ზუსტი ციფრობრივი მონაცემები მომეწოდებინა, რადგან ეს უფრო ნათლად წარმოაჩენს პრობლემის არსს მთელი სიგრძე-სიგანით.

რაიონში სულ 6299 მამაკაცი და 7897 ქალია, ქვრივია 256 კაცი, 973— ქალი, განქორწინებულია 30 კაცი და 98 ქალი.

შარშან რაიონს შეემატა 146 ახალშობილი, აქედან იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდში 99, წელს ამავე პერიოდში 113 ბავშვი შეემატა რაიონს, მაგრამ ამ ციფრებმა თვალი არ უნდა აგვიხვიოს, რადგან სხვა წლებთან შედარებით შობადობის ტემპი თანდათან კლებულობს.

ინტერესმოკლებული არ იქნება ალბათ ისიც, თუ როგორ ცვალებადობს დასაქორწინებელ ადამიანთა რიცხვი ასაკის ცვალებადობასთან ერთად.

15-19 წლამდე ასაკისათვის დაუქორწინებელია მამაკაცი—556, ქალი—494, 20-24 წლამდე ასაკისათვის—მამაკაცი—442, ქალი—237, 15-29 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—318, ქალი—130, 30-34 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—150, ქალი—75, 35-39 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—66, ქალი—42, 40-44 წლამდე ასაკისათვის—მამაკაცი 21, ქალი—41, 45-49 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—28, ქალი—50, 50-54 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი — 24, ქალი — 50, 55-59 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—22, ქალი—80, 60-64 წლამდე ასაკისათვის მამაკაცი—25, ქალი—84, 65-68 წლის ასაკისათვის მამაკაცი 5, ქალი—47, 78 და მეტი წლის ასაკისათვის მამაკაცი—4, ქალი—1.

კომენტარი ზედმეტია, ამ მშრალი ციფრებიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობაა რაიონში. გვიანღა არის წუწუნი იმის შესახებ, თუ რა დონემდე მივედით. „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“—ნათქვამია. ურემი დიდი ხანია გადაბრუნებულია, მაგრამ გზა მაინც არ ჩანს. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ იხუმრა: „ეკონომიკურ თავის რეალობა, ანდ დავწყოო“. ხუმრობა ... ... მართლაც საინტერესოა, რა უშლის ხელს ახალგაზრდებს, ან რატომ იკავებენ თავს. გადავწყვიტე შევხვედროდი მათ გარკვეულ ნაწილს და გულახდილ დიალოგში საბოლოოდ გარკვეულიყო ამ პრობლემის თავი და ბოლო. რიგ შემთხვევებში თვით თანამოსაუბრეების თხოვნით მოვერიდე კონკრეტული პიროვნებების დასახელებას. თუმცა ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარია მიზეზები და პრობლემები. მომიტევონ უფრო სოლიდური ასაკის წარმომადგენლებმა, რადგან შეგნებულად ავარიდე თავი მათთან ამ მტკივნეულ საკითხზე საუბარს, თუმცა, თვითონაც არ გამოუხატავთ ამის დიდი სურვილი. „ჯოხი ისევ 20-დან 40 წლამდე ასაკის ხალხზე გადატყდა“.

მოდით, კიდევ ერთხელ ვცადოთ!

პირველი შეკითხვა, რომლითაც მათ მივმართე:

—რატომ არ დაოჯახდით?

—არავინ მითხოვა და იმიტომ (ფ. ხ)

ალბათ ჩემმა ოჯახურმა პირობებმა ითამაშა ამაში გადამწყვეტი როლი (მ. ბ.)

—სასტიკი წუნია ვარ, შესაფერისიც ვერავინ ვნახე, თავს რა თქმა უნდა, არ ვიმართლებ, გათხოვება მაინც არ გადამიფიქრია (ლ. მ).

მამაკაცების უმრავლესობამ მიზეზად მატერიალური წყაროების უქონლობა დასახელა. ოჯახს რჩენა სჭირდება, ხოლო ამის საშუალებას არაფრით არ იძლევა ჩვენს რაიონში (და მთელი საქართველოს მასშტაბითაც) არსებული შრომითი ანაზღაურება.

—ძირითადი მიზეზი, რამაც ხელი შეგიშალათ?

—ძნელი სათქმელია, სახლკარს, ოჯახს—ყველაფერს ანგარიში უნდა გაეწიოს, მოსაწონიც ვერავინ ვნახე. ისე 30 წლისა აუცილებლად დაქორწინებული ვიქნები (გ. ს).

—ცოტა ძნელია ამაზე ლაპარაკი, ვიცი, რომ ოჯახის შექმნა აუცილებელია. დღეს ძალიან ძნელია პირადად ჩემთვის, ვიპოვნო ისეთი ადამიანი, ვინც ცხოვრების მეგობრობას გამიწევს. გოგონების უმეტესობა ყურადღებას მხოლოდ მატერიალურ ფასეულობას აქცევს, მზამზარეულ ცხოვრებას ეძებს, მე გვერდში ამომდგომ ადამიანს ვარჩევ, რომელიც ჩემთან ერთად შეეცდება ცხოვრების შექმნას (გ. კ.)

—არ ვიცი, 10 წელი ველოდე, ახლა თვალები უნდა დავხუჭო და ველოდო როგორი შემხვდება, შეიძლება ბედნიერი ვიყო, შეიძლება პირიქითაც უბედური. (მ. ს.)

—არ შემხვედრია მამაკაცი, რომელსაც შევიყვარებდი. მოვალეობის მოხდის მიზნით კი ოჯახის შექმნა სისულელედ მიმაჩნია (მ. ბ.)

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მომზადებული ვხვდებით

დაწყებითი სკოლა საფუძველია განათლების შემდგომი საფეხურის. სოფელ გვესოს მცხოვრებნი ყოველ ღონეს ხმარობენ შეუქმნან ნორმალური პირობები იქ არსებულ დაწყებით სკოლას. იგი მცირეკომპლექტიანია, არის ოთხივე კლასი, აქვს საჭირო რაოდენობის ოთახები, შესაფერისი დგამ-ავეჯი.

მოსწავლეთა მშობლები მხარში გვიდგანან პედაგოგებს. მათი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით სკოლას არდადეგების პერიოდში ჩავუტარეთ მიმდინარე რემონტი. ეზო შემორაგვულია მავთულბადით. მოწყობილი გვაქვს ყვავილნარი. ეზოში სანიმუშო სისუფთავეა. ესთეტიკურად მიმზიდველია პატარებისათვის.

სკოლის მიკრორაიონში მცხოვრები ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლებაში, ისინი მომარაგებული არიან სასწავლო სახელმძღვანელოებით, ნივთებითა და მოსწავლის ფორმით, მათთვის შექმნილია ყველა პირობა კარგი სწავლისათვის.

სკოლა სრულყოფილად მზადაა ზამთრის გათბობისათვის, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია სახალხო დეპუტატთა ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭომ, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ცაგერის სატყეო უბნის მუშაკებმა, უკვე შემოზიდული შეშა უზრუნველგვყოფს მთელი ზამთრის სეზონზე.

ნეოლინა სალინაძე,
გვესოს დაწყებითი სკოლის გამგე.

მოდით, კიდევ ერთხელ ვცხაღოთ!

(დასასრული).

—ჩემი თავის რჩენის საშუალებაც არა მაქვს, ანდაზისა არ იყოს . „მკვდარი მკვდარს აეკიდო“, ისე იქნებოდა ჩემი საქმე (გ. მ.).

ჩემს ბოლო შეკითხვაზე—თელით თუ არა საკუთარ თავს დამნაშავედ? თითქმის ყველა მათგანმა უარი განმიცხადა და საპირისპირო კატეგორია დაადანაშაულა, გარდა ამისა აღნიშნეს, რომ სწავლით თუ სამსახურით დატვირთულები ვეღარ იცლიან პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას წავაწყდი შედარებით მცირე ასაკის წარმომადგენლებთან საუბარში.

—სწავლაზე თუ სამსახურებრივ წინსვლაზე წინ მე მაინც ოჯახის შექმნის აუცილებლობას ვაყენებ. (ბ. გ. 18 წლის).

ალბათ მკითხველიც დარწმუნდება, რომ პასუხები სრულიად განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ხასიათისაა, მაგრამ მათში მაინც ნათლად იკვეთება ორი მომენტი:

1. არა მაქვს ამის მყარი მატერიალური საფუძველი.

2. ვერ ვნახე შესაფერისი ადამიანი.

პირველი საკითხის მოგვარება საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგან იგი მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, ხოლო რაც შეეხება მეორეს, ამის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვე ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს მარინე სვანიძეს:

—მრავალი სხვადასხვა გასართობი ღონისძიებით, და არა ერთხელ, ვცადეთ შეგვექმნა ახალგაზრდული კლუბი, სადაც მოვახდენდით ახალგაზრდობის გაცნობა-დაახლოებას. ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა, არ ვიცი რა იყო ამის მიზეზი, ზედმეტი უინტერესობა, გარკვეული თვალსაზრისით პროვინციალიზმიც, თუ კიდევ სხვა რამ. უკვე აღარც ვცდილობთ რამის გაკეთებას.

—იქნებ ბოლო ცდამ გაამართლოს?—ვკითხე. მარინე ცოტა ხანს დაფიქრდა და მიპასუხა:

—კარგი, მოდით, კიდევ ერთხელ ვცადოთ!

მადონა მახარობლიძე,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტი.

ჯადოქარი ტარასოვი

მანუალური თერაპიის შეუდარებელ სპეციალისტად ითვლება ტარასოვი. რუსეთის ჯადოქრად ორდენის წევრი. მოსკოვის თეატრ „ერმიტაჟში“ მოწყობილ საღამოზე იგი დამსწრეთა თვალწინ დაეხმარა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებით შეწუხებულ პაციენტებს.

იური ტარასოვი ახლა ლენინგრადშია გასტროლებზე, შემდეგ კი... თვალი მიადევნეთ აფიშებს.

სურათზე: იური ტარასოვი ატარებს მკურნალობის სეანსს თეატრ „ერმიტაჟში“.

რ. ნეტეღევის ფოტო.

მცირე საწარმოებს—მწვანე ქუჩა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მცირე საწარმოთა შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭოთა კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მხარი დაუჭირონ მცირე საწარმოებს მათს შექმნაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეების, გამოუყენებელი მანქანებისა და მოწყობილობის, დაკონსერვებული დაუმთავრებელი ობიექტებისა და ნაგებობების მიყიდვისა და იჯარით გადაცემაში.

განზრახულია 1990 წლის პირველ დეკემბრამდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ მცირე საწარმოებისათვის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში დახმარების გაწევის ღონისძიებანი.

გადაწყვეტილია აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური რეფორმების სახელმწიფო კომისიასთან შეიქმნას მცირე მეწარმეობისადმი დახმარების კომიტეტი.

რეგულირებად საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, მეწარმეობისადმი მხარდაჭერა მოითხოვს მცირე საწარმოთა ქსელის დაჩქარებულ შექმნას, რომელსაც უნარი ექნება გააქტიუროს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, მისცემს არჩევანის ფართო თავისუფლებას და დამატებით სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს ხარჯების სწრაფ ანაზღაურებას, მომხმარებლის მოთხოვნილების ცვლილებაზე მოახდენს სწრაფ რეაგირებას. ამ ფორმის მეწარმეობის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ბაზრის საქონლითა და მომსახურებით დაკმაყოფილებას, დარგობრივი და რეგიონალური მონოპოლიზმის გადალახვას, კონკურენციის განვითარებას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო გამოყენებას, საექსპერტო პოტენციალის ამაღლებას.

(საქინფორმი)

მიღება ექსტრასენსთან

ტრადიციული და სახალხო მედიცინის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბიოენერგო თერაპევტი **ალექსანდრე ბენგუტი** ხსნის ბუნებრივი მკურნალობის კაბინეტს ცაგერის პროფსაბჭოს საერთო საცხოვრებლის ბაზაზე.

უნდა შეიქმნას ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით, ექსტრასენსი მკურნალობს შაქრიან დიაბეტს, სიმსუქნეს, კოლიტს, ალერგიას, დისბაქტერიოზს, მარილების დაგროვებას, ნაღვლის ბუშტის, ნერვული, ლიმფური, კუჭნაწლავის, საშარდე სისტემის დაავადებებს და სხვა.

საერთო შეხვედრა და ჯგუფებში ჩაწერა მოხდება 29-30 სექტემბერს, 18 საათიდან 20 საათამდე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ლაბორატორიული ანალიზები:

შარდის საერთო,
სისხლის საერთო;
პროტრომბინზე და შაქარზე;
კუჭის მჟავიანობაზე.
აგრეთვე, 4 ცალი ფოტოსურათი, ზომით 5X6.
მისამართი: დავით აღმაშენებლის ქ. №90.

ს. მიქაძე

ჭილოცავთ

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომლები.

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გრიშა, ლამარა, ზაზა ჩიქოვანები.

ჭილოცავთ
ახლადდაქორწინებულებს!

ნანი ჯუმბერის ასულ მუშკუდიანს
გიორგი ღუკას ძე მაზანაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თანამშრომლები.

ნინო აკაკის ასულ დავითულიანს
ვიტალი სუდიკოს ძე ფილიაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძემტკიცე ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს.

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები.

როზა ჭიჭიკოს ასულ ქლიბაძეს
გოჩა შოთას ძე ბანძელაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ფუძე, შვილთა სიმრავლეს გაეხარებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის №2 ბრიგადის თანამშრომლები.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მეუღლე ჭიჭიკო, შვილები როზეტა, ზოია, ამირანი, თემური, ჯონი, ჯეირან სილაგაძეები, და ანიკო კუხალაშვილი, რძლები ნონა, გულო, ნანა, შორენა, სიძეები გივი ლურსმანაშვილი, ომარ ფხაკაძე, მულები ბაბი, ნინა, ბიძაშვილები თინა, ქეთო, მარლენ თაგვაძეები, შვილიშვილები, დისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა სერაპიონის ასული თაგვაძე-სილაგაძე.

დაკრძალვა 23 სექტემბერს, კვირას, სოფ მახაშში.

ბაბუცა, გრიშა ბენიძეები, ეორა, ვაჟა, ანზორ მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა ივანეს ძე იოსელიანი.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 კორექტორის—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთს გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.